სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

15 ნოემბერი, 2024 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს

გადაწყვეტილება N 07-01/65

ინტერნეტმომსახურების მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (N1462436, 13/11/2024 წ.), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის სხდომის N07-02/11 ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განახორციელოს ბსუ-ს ინტერნეტმომსახურების (CPV_კოდი_72400000) მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვა ბსუ-ს ბიუჯეტის 2025-2026 წლების ასიგნების ფარგლებში, კერძოდ, ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში გათვალისწინებული იქნეს არაუმეტეს 100 000 ლარი, ხოლო 2026 წლის ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში - არაუმეტეს 100 000 ლარი.
2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**